ხელშეკრულება №137
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
კონკურსის საშუალებით

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 2011 წლის „ 21 " მაისს, ქ.თბილისში

ერთის მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველო (შემდგომში – შემსყიდველი), წარმომადგენლის – საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის მოადგილის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის **ირაკლი თოფურიას** (საფუძველი: შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსის 2011 წლის 3 იანვრის №315 მინდობილობა) და

მეორეს მხრივ, შპს „მშენ-ექსპერტი" (შემდგომში – მიმწოდებელი), დირექტორ **მალხაზ წიქარიშვილის** სახით, ვადასტურებთ, რომ ჩვენს შორის მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა **№71** კონკურსი შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის VI განყოფილების ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა კონკურსანტის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად კონკურსანტმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება შემდეგ თანხაზე: **12000 (თორმეტი ათასი)** ლარი (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით), შემდგომში ხელშეკრულების ფასი.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – „ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით; და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და უზრუნველყოფს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი.

3. სტანდარტები

3.1 ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს მომსახურების ინსპექტირება.
4.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შსს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამსახურის სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილების სარემონტო სამუშაოების ორგანიზებისა და ტექნიკური ზედამხედველობის ქვეგანყოფილების უფროსი მიხეილ ხიდეშელი.
4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა საშუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
4.4. კონტროლის შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
4.5. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა
4.6 საჭიროების შემთხვევაში, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, დამატებითი ანაზღაურების გარეშე, შეიტანოს ცვლილება პროექტში და მიაწოდოს შემსყიდველს მოტივირებული პასუხი ყველა დასმულ კითხვაზე.

5. მომსახურების გაწევის ვადა

5.1 ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) დღე. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია, საკონკურსო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალების შესაბამისად, საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს **CD** დისკზე ჩაწერილი **PDF** ფაილად.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება გაწეულ მომსახურებაზე საგადასახადო ანგარიშფაქტურის, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოდგენის შემდეგ. ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.
7.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

7.3 ანგარიშსწორება განხორციელდება საგადასახადო ანგარიშფაქტურის და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 საბანკო დღის განმავლობაში
7.4 ანგარიშსწორების ადგილი - ქ. თბილისი

8. ფასები

8.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.
8.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. გარანტია

10.1 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
11.2 შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დააკისროს ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით და შეწყვიტოს ხელშეკრულება

11.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.2 %-ს.
11.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.5 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

12.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესმყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.
12.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე: ა)თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
12.5 ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება,

დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი ურთიერთმოლაპარაკების მეშვეობით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

15. გამოყენებული სამართალი

15.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
15.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, იდენტური შინაარსის 3 ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ორი ეგზემპლიარი რჩება შემსყიდველთან, ერთი მიმწოდებელთან

16. შეტყობინება

16.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
16.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

17. გადასახადები და დაბეგვრა

17.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გადახდაზე.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან და მოქმებებს 2011 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით.

19. სხვა პირობები

19.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
19.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
19.3 კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი არქიტექტურული ნაწილი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
19.4 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
19.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:

შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს
საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის
სამმართველოს უფროსის მოადგილე,
საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსი

ი. თოფურია

მისამართი: ქ.თბილისი დიღმის მას. II კვ.
კ. ჩალაძის ქ. №1. ტელ: 41-42-74.
საბანკო რეკვიზიტები; ს/კ 211369179,
ბ/კ220101107, ანგ№200122900,
ს/ს „საქართველოს ეროვნული ბანკი"

მიმწოდებელი:

შპს „მშენ-ექსპერტი"
დირექტორი

მ. წიქარიშვილი

მისამართი: ქ.თბილისი ნოსტეს
ქ №28. ტელ: 890-73-02-15.
საბანკო რეკვიზიტები:
ს/კ 200266559, ბ/კ **BAGAGE**22,
ანგ№**GE**91**BG**0000000252938700
ს/ს „საქართველოს ბანკი" ც/ფ

ვებ №2.

შ.პ.ს. „მშენ-ექსპერტი"

შ.ს.ს. ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს
გლდანი- ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის VI განყოფილების
ადმინისტრაციული შენობის პროექტი


POLICE

ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები

მოშენების ფართი გარე კონტურზე	232.30 მ²
ცენტრალური კიბის ფართი	45.80 მ²
სულ საერთო სასარგებლო ფართი	700.50 მ²

აქედან:

სარდაფის სართულის საერთო სასარგებლო ფართი 197.40 მ²

I სართულის საერთო სასარგებლო ფართი 285.70 მ²

II სართულის საერთო სასარგებლო ფართი 217.40 მ²



გენ-გეგმა

მ. 1:500

ექსპლიკაცია

1. სავანქანო გზა
2. ავტოსადგომი
3. საფეხმავლო გზა
4. გამწვანება
5. მცირე ავტოსადგომი
6. სარეკრეაციო ზონა
7. შენობა
8. საქვაბე შენობა

ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

ხასარგებლო ფართი 700.56 მ²

მოშენების ფართი გარე კონტურზე 232.30 მ²

სარდაფის სართულის გეგმა



ექსპლიკაცია

1 ჰოლი 52.6 მ²

2. ტექნიკური ოთახი 14.1 მ²

3. ნიეთმტკიცების ოთახი 10.0 მ²

4. საიარაღო 10.5 მ²

5. საერთო მოსასვენებელი ოთახი 44,8 მ²

6. სასადილო ოთახი 22.2 მ²

7. სანკვანძი 22.2 მ²

8. კიბის უჯრედი 21.0 მ²

სასარგებლო ფართი 197.40 მ²

მოშენების ფართი გარე კონტურზე 232.30 მ²

I სართულის გეგმა



ექსპლიკაცია

1. სამუშაო დარბაზი 208.30 მ²
2. კაბინეტი, მოსასყენებელი ოთახით, სველი წერტილით 36.60 მ²
3. დასაკითხი ოთახი 14.50 მ²
4. ამოსაცნობი ოთახი 4.00 მ²
5. კიბის უჯრედი 21.00 მ²

სასარგებლო ფართი 285.70 მ²

II სართულის გეგმა



ექსპლიკაცია

1. სამუშაო დარბაზი 116.10 მ²
2. კაბინეტი, მოსასვენებელი ოთახით, სველი წერტილით 39.80 მ²
3. კაბინეტი, მოსასვენებელი ოთახით, სველი წერტილით 40.5 მ²
4. კიბის უჯრედი 21.00 მ²

სასარგებლო ფართი 217.40 მ²